

# ნუმეროლოგიურ კომპონენტთან ფრაზეოლოგიური ერთეულები ფრანგულ და ქართულ ენებში

ციური ახვლედიანი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
e-mail: [tsiuriakhvlediani@yahoo.com](mailto:tsiuriakhvlediani@yahoo.com)  
<https://doi.org/10.52340/lac.2023.02>

ნაშრომში განიხილება ნუმეროლოგიურ კომპონენტთა სპეციფიკა ფრანგული და ქართული ენების ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში. ნუმეროლოგიურ კომპონენტთან (“ერთიდან” “ცხრის” ჩათვლით) ფრანგულ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შეპირისპირებითი ანალიზი, რომელთა შედეგები წარმოდგენილია ჩვენს ნაშრომში, საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ციფრთა კულტურული კონოტაციის მსგავსება-განსხვავებებზე. ჩვენი კვლევის მიზანია, გავანალიზოთ ნუმეროლოგიურ კომპონენტთან ფრანგულ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური თავისებურებანი და შეპირისპირებითი ანალიზის დახმარებით, გამოვაკლინოთ ასეთ ფრაზეოლოგიზმთა კონოტაციების მსგავსებანი და განსხვავებანი ფრანგულ და ქართულ ენებში.

ნუმეროლოგიურ კომპონენტთან ფრაზეოლოგიური ერთეულები დიდ ინტერესს წარმოადგენენ კვლევისათვის, რადგან ციფრებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ სამყაროს კონცეპტუალურ სურათში. ფრაზეოლოგიური ერთეულების შემადგენლობაში, რიცხვით სახელს შეუძლია პირველადი ნიშნობრივი ფუნქციის რეალიზება, ანუ რაოდენობის გამოხატვა და ასევე შეუძლია ინტერპრეტირებულ იქნეს იმ სიმბოლოდ, რომელიც რეალიზდება მეორადი ნიშნობრივი ფუნქციით.

ფრანგული და ქართული ენების ნუმეროლოგიურ კომპონენტთან (“ნულიდან” “ცხრამდე”) ფრაზეოლოგიზმთა შეპირისპირებითმა ანალიზმა გვიჩვენა სემანტიკური დამთხვევები. თუმცა შეინიშნება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არ ემთხვევა ციფრობრივ ელემენტთა მნიშვნელობები.

**საკვანძო სიტყვები:** ფრაზეოლოგიური ერთეულები, ნუმეროლოგიური კომპონენტი, კონოტაციები, სიმბოლური მნიშვნელობა, არქაული მითოპოეტიკური კონცეპტი, შეპირისპირებითი ანალიზი.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში მყოფი ნუმეროლოგიური კომპონენტები ფლობენ რთულ სემანტიკურ სტრუქტურას. მათ შეუძლიათ სრულად შეინარჩუნონ პირდაპირი რაოდენობრივი მნიშვნელობა, “რიცხვითი სახელის” კატეგორიით, ასევე შეუძლიათ განიცადონ ნაწილობრივი ან სრული დესემანტიზაცია და მოიპოვონ ისეთი სიმბოლური მნიშვნელობები, რომლებიც სათავეს იღებენ არქაულ მითოპოეტიკურ კონცეპტებში. ნუმეროლოგიურ კომპონენტთა სემანტიკა, როგორც რაოდენობრივი მნიშვნელობისა, ასევე სრულად ან ნაწილობრივ დესემანტიზირებულისაც, ინარჩუნებს საკუთარ თავისებურებებს.

განვიხილოთ “ნულიდან” “ცხრამდე” ნუმეროლოგიურ კომპონენტთა შემცველი ერთეულების პირველადი და მეორადი მნიშვნელობის რეალიზება ფრანგული ენის ფრაზეოლოგიზმებში და შევადაროთ ისინი თავიანთ ექვივალენტებს ქართულში. ფრაზეოლოგიური ერთეულები შერჩეულია Larousse - ის თანამედროვე ლექსიკონიდან. ნუმეროლოგიური კომპონენტი **ნული, zéro** საინტერესოა თავისი სიმბოლური მნიშვნელობის ამბივალენტურობით. ერთის მხრივ, ნუმეროლოგიური კომპონენტი **ნული** ატარებს საწყისის, ამოსავალი წერტილის იდეას; მაგალითად, **partir de zéro, reprendre à zero** – ნულიდან დაწყება. მეორეს მხრივ კი, იგი შეიცავს სრული არყოფნის მნიშვნელობას, არის სიცარიელის სიმბოლო, როდესაც ადამიანის ყველა ქმედება დაიყვანება “არარსებობის, არყოფნის” წერტილამდე: **avoir le moral à zéro** (სულიერად დაცემა), **un (triple) zéro** – სრული ნული, არარაობა. ერთიანობისა და მთლიანობის მნიშვნელობამ, წარმოდგენილმა კომპონენტით **ერთი, un (une)** თავისი ასახვა ჰპოვა ორივე ენის ფრაზეოლოგიურ სისტემებში. ფრანგულ ენაში, განუსაზღვრელი არტიკლისა და რიცხვითი სახელი “ერთის” ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა რიცხვითი სახელი **un (une)** გვხვდება ფრაზეოლოგიზმებშიც: **ne faire qu'un** (აღმოჩნდა **ერთი** და იგივე პირი). ასევე გვხვდება ქართულ ენაშიც: **ერთი** ძვალი და ტყავი და დარჩა; **ერთი** ჯურის ხალხია, **ერთი** ამქრისანი არიან.

კომპონენტი **deux, ორი** გვხვდება მრავალი მნიშვნელობით: დაპირისპირების, ორპირობის, ორჭოფობის იდეით: **avoir deux poids et deux mesures** (ორმაგი სტანდარტის ქონა), **ça fait deux** (ეს ორი სხვადასხვა რამეა). გამოვლინდა დამთხვევის, მსგავსების სემანტიკა, რომლებიც საერთოა ფრანგული და ქართული ენებისათვის: **comme deux gouttes d'eau** - როგორც ორი წვეთი წყლისა; **entre deux feux** - ორ ცეცხლშუა. არამულდმივობის, არასტაბილურობის მნიშვნელობაც გადმოიცემა ამ რიცხვითი კომპონენტის დახმარებით: **joindre les deux bouts** - ჯოხს ორი ბოლო აქვს. ფრანგულ ენაში გვხვდება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ჯგუფი, რომლებიც ერთიანდებიან განსაზღვრული დროის მონაკვეთის

მნიშვნელობით, რიცხვითი კომპონენტი **ორი** კი მათ ზღუდავს: **entre deux âges** (საშუალო, განუსაზღვრელი ასაკისა), **entre deux soleils** (მზის ამოსვლასა და ჩასვლას შორის). ისეთ ფრაზეოლოგიზმებში, რომლებშიც ნუმეროლოგიური კომპონენტი რეალურს ხდის პირველად ფუნქციას, შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი მნიშვნელობა. კერძოდ, წყვილადობა: **avoir les deux pieds dans le même sabot** (სიტყვა-სიტყვით: ორი ფეხის ქონა ერთ ფეხსაცმელში; 'უგერგილობა, უგერგილოდ ყოფნა'); **brûler la chandelle par les deux bouts** – სანთლის დანთება ორივე ბოლოდან. არა დიდი, მცირე რაოდენობისა: **être à deux doigts de** – ორ ნაბიჯზე; **en deux temps trois mouvements** - ერთი-ორი და მზადაა.

**სამი, trois**, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული სხვადასხვა მითოპოეტიკურ კონცეპტებში, ფიგურირებს მრავალ ფრაზეოლოგიურ ერთეულში და გამოხატავს როგორც პირველად, ასევე მეორად ნიშნურ ფუნქციას ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში. სიმბოლიკურ მნიშვნელობათა შორის, გამოიყოფა იმ ფრაზეოლოგიურ შეხამებათა ჯგუფი, რომლებიც ერთიანდებიან უნივერსალურობისა და სრულყოფილების სემანტიკით: **jamais deux sans trois**, რომლის მნიშვნელობა უკავშირდება ფრაზეოლოგიზმს ღმერთს უყვარს გასამება, სამება. ეს გამონათქვამები გამოიყენება იმ მიზნით, რომ რაიმე ქმედება სამჯერ გამეორდეს წარმატების მისაღწევად, რადგან ციფრი **სამის** დადებითი კონოტაცია დაიწყო ჯერ კიდევ არქაულ მითოპოეტიკურ კონცეპტებში; თუმც, იგი გვხვდება ნეგატიური ინტერპრეტაციითაც: **tomber dans le troisième dessous** (უსიამოვნებებთან შეჯახება).

ციფრული ელემენტი **ოთხი, quatre** უფრო მეტად პროდუქტიულია ფრანგულ ენაში, ვიდრე ქართულში. ციფრი **ოთხის** სიმბოლიკა უკავშირდება სივრცეს, წელიწადის დროებს, სტიქიებს, ანუ ბუნებრივ მოვლენებს, რომლებიც შედგებიან ოთხი ელემენტისაგან და ქმნიან სისტემას. მაგალითად, **aller par quatre chemins** - (სიტყვა-სიტყვით: ოთხივ მხრივ წასვლა), თავის დაღწევა, თავის არიდება რამესადმი; **aux quatre coins du monde** (სიტყვა-სიტყვით: სამყაროს ოთხივე კუთხეში) - ყველგან ყოფნა. აღსანიშნავია, რომ ორივე ენაში არსებობს ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც უკავშირდებიან საცხოვრებელი სივრცის ორგანიზაციას და გვევლინებიან როგორც გარე სამყაროს მოდელი: **entre quatre murs** – ოთხ კედელში. რაც შეეხება იმ შემთხვევებს, რომლებშიც ციფრი **ოთხი** სემანტიზირებულია, ის შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს როგორც რაღაცის მცირე რაოდენობა: **ça vaut quatre sous** (სიტყვა-სიტყვით: ეს ოთხი სუს ღირებულებისაა - 'ეს გროშებია'), **c'est à quatre pas** (სიტყვა-სიტყვით: ეს ოთხ ნაბიჯზეა, 'ახლოსაა'), **quatre à quatre** (სიტყვა-სიტყვით: ოთხი ოთხზე, 'სასწრაფოდ, სახელდახელოდ'). თუმც ეს ციფრი ასევე გამოხატავს განუსაზღვრელი რაოდენობის მნიშვნელობას - ბევრს, მრავალს: **se mettre (se couper) en quatre** (შეუსვენებლად,

თავაუღლებლივ მუშაობა, ნაწილებად დაგლეჯა), **avoir la tête en quatre** (სიტყვა-სიტყვით: თავის ქონა ოთხ ნაწილად) - შეგრძნება, რომ თავი სკდება ნაწილებად, **manger comme quatre** - ოთხი (ადამიანივით) ჭამა, **dire ses quatre vérités** (სიტყვა-სიტყვით: საკუთარი ოთხი სიმართლის თქმა) - საკუთარი აზრის გამთქმა.

რიცხვითი სახელი **ხუთი, cinq** იშვიათად ფიგურირებს როგორც ფრანგული ენის, ასევე ქართული ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. ძირითადად, ეს ციფრი ინარჩუნებს პირდაპირ მნიშვნელობას: **la cinquième roue de la charrette** – ურმის, ფორანის მეხუთე ბორბალი.

ფრაზეოლოგიური გამონათქვამები ციფრი **ექვსით, six** არ არის მრავალრიცხოვანი. ფრაზეოლოგიურ ერთეულში **le sixième sens** და ქართულ ენაში მის ექვივალენტში **მეექვსე გრძნობა** დომინირებს ნუმეროლოგიური კომპონენტის პირდაპირი მნიშვნელობა. საქმე ეხება იმ უნარს, როცა ადამიანი ინტუიციურად აღიქვამს, შეიცნობს რაიმე ისეთს, რომელიც აღიქმება დამატებით გრძნობად - მეექვსე გრძნობად (ძირითად გრძნობებზე მხოლოდ ხუთია აღიარებული).

სრულყოფილების სემანტიკა, რომელიც უკავშირდება ნუმეროლოგიურ კომპონენტს **“შვიდი, sept”**, სხვადასხვა ხალხთა კულტურაში, რეალიზდება ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში **être (ravi) au septième ciel** – მეშვიდე ცაზე ყოფნა (სიხარულისაგან).

რიცხვითი სახელი **რვა, huit**, სიმბოლური მნიშვნელობით, უკავშირდება გამონათქვამს **la huitième merveille du monde** - სამყაროს მერვე სასწაული. ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, მიიჩნევა, რომ არსებობს სამყაროს შვიდი სასწაული. ამიტომაც ადამიანთა სამყაროს კონცეპტუალურ სურათში დამკვიდრებულია ის აზრი, რომ ყველანაირი გამაოცებელი მიღწევა იწოდება სამყაროს მერვე სასწაულად. ფრანგული ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, რიცხვითი სახელი **რვა, huit** სხვა სემანტიკითაც ფიგურირებს. ესენია კონკრეტული დროითი მონაკვეთები, რომლებიც უკავშირდება, სახელდობრ, მთლიან კვირას, რადგან სამყაროს ფრანგულ სურათში მთლიანი კვირა შედგება რვა დღისაგან. მაგალითად, **d'ici en huit** - ერთი კვირის შემდეგ; **donner ses huit jours** - სამსახურიდან განთავისუფლების გაფრთხილება, სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების გაკეთება და სხვ.; **les cinq huit** – ხუთდღიანი სამუშაო კვირა.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში შემავალი ნუმეროლოგიური კომპონენტი **ცხრა, neuf** უმეტესად რეალიზდება რაოდენობრივი მნიშვნელობით: **neuf fois sur dix** - ათიდან ცხრა, თითქმის მუდამ, ძალიან ხშირად; **maladie de neuf mois** - ორსულობა (სიტყვა-სიტყვით: ავადმყოფობა ცხრა თვით).

ამგვარად, ფრანგული და ქართული ენების ნუმეროლოგიურ კომპონენტთან (“ნულიდან” “ცხრამდე”) ფრაზეოლოგიზმთა შეპირისპირებითა ანალიზმა გვიჩვენა სემანტიკური დამთხვევები. თუმცა შეინიშნება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არ ემთხვევა ციფრობრივ ელემენტთა მნიშვნელობები.

### ლიტერატურა

Leroi, Marie-Véronique, Locutions verbales figées en français. Paris, 2018

<https://www.larousse.fr/dictionnaires/francais>.

**Tsiuri Akhvlediani**

Iv. Javakhishvili State University

### **Phrase units with numerological component in French and Georgian Languages**

#### Abstract

In the article, the specificity of numerological components in the composition of phrase units of French and Georgian languages is considered. The comparative analysis of French and Georgian phrase units with a numerological component (from “one” to “nine”), the results of which are presented in our paper, allows us to discuss the similarities and differences in the cultural connotation of numbers.

Phrase units with a numerological component are of great interest for research, because numbers have a special place in the conceptual picture of the world. As a part of phrase units, a numerical noun can realize the primary sign function, that is, express a quantity and can also be interpreted as a symbol that realizes a secondary sign function.

The comparative analysis of French and Georgian phrases with a numerological component (from 1 to 9) showed us semantic coincidences. However, there are cases where the values of the digital elements do not match.

**Key words:** phrase units, numerological component, connotations, symbolic meanings, archaic mythopoetic concept, comparative analysis.

**რეკენზენტი:** პროფესორი ლუდმილა ბრანიშტი